

რეკომენდაცია

გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის თაობაზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ლ.,

საქართველოს სახალხო დამცველს გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით 2020 წლის 15 სექტემბერს მომართა მ. კ.- ის ინტერესების დამცველმა თ. ს.-მ (საქმე #10122/20). მ. კ. არის ტრანსგენდერი ქალი.

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განცხადებაში მითითებულია, რომ ერთ-ერთი საიტის მეშვეობით მ. კ.-ს სურდა დაექირავებინა ბინა, რომლის გამქირავებლად მითითებული იყო უძრავი ქონების აგენტი ლ.ს.. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 10 სექტემბერს მ. კ. დაუკავშირდა ლ. ს.-ს. მასთან პირველადი დაკავშირება მოხდა ტელეფონის საშუალებით, ხოლო გაგრძელდა Viber აპლიკაციის მეშვეობით. როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, უძრავი ქონების აგენტმა მ. კ.-ს უთხრა რომ გასაქირავებელი ბინები არ ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი საიტის მეშვეობით გასაქირავებელი უძრავი ქონება იძებნებოდა. განცხადებაში მითითებულია, რომ ლ. ს.იყო აგრესიული და მ. კ.-ს მიაყენა შეურაცხყოფა გენდერული იდენტობის ნიშნით.

განმცხადებელმა მტკიცებულებებად წარმოადგინა Viber აპლიკაციით მიმდინარე მიმოწერა. როგორც მიმოწერიდან ჩანს, მ. კ. უძრავი ქონების აგენტს ეკითხება მიზეზს, თუ რატომ ეუბნება იგი უარს ბინის მიქირავებაზე, მაშინ როდესაც საიტზე ხელმისაწვდომი ბინები ჩანდა. ამაზე ლ. ს.მ. კ.-ს პასუხს არ უგზავნის. შემდგომში მ. კ. განმეორებით უკავშირდება ლ. ს.-ს და ეკითხება, ხომ არ აქვს ბინები შესაბამისი მომენტისთვის. ლ. ს.პასუხობს, რომ გასაქირავებელი უძრავი ქონება არ აქვს. მ. კ.-ის შემდგომი თხოვნა იყო, რომ როდესაც შესაბამისი ბინა გამოჩნდებოდა, მიეწერა მისთვის, რაზეც ლ. ს.-მ უპასუხა, რომ სხვას დაკავშირებოდა, რადგან „ჯერ არ ექნებოდა“. მიმოწერის ამ ეტაპზე მ. კ. კვლავ ეკითხება ლ. ს.-ს უარის მიზეზს, რაზეც უძრავი ქონების აგენტი პასუხობს: „რა რატო გეუბნები არ მაქვს და არც მცალია“.

ლ. ს.მ. კ.-სთან საუბარში მიმართვის ფორმად ერთჯერადად იყენებს სიტყვას „ბიჭო“. ამან მ. კ.-ის პროტესტი გამოიწვია, და მან ლ. ს.-ს მიუთითა, რომ მისი სახელი იყო მ.. ამის შემდგომ ლ. ს.-მ უპასუხა, რომ მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ იყო მ. კ. და კვლავ მამაკაცის სახელზე გაამახვილა ყურადღება. მ. კ.-მ ლ. ს.-ს მიუთითა, რომ მისი მხრიდან კომუნიკაციის ფორმა მისთვის, როგორც ტრანსგენდერი ქალისთვის, შეურაცხმყოფელია. ამის შემდგომ ლ. ს.-ს მ. კ.-ისთვის პასუხი Viber აპლიკაციის საშუალებით აღარ დაუბრუნებია.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის საქმეში არსებული მასალები იძლევა დისკრიმინაციის ვარაუდის საფუძველს. შესაბამისად, დაიწყო საქმის შესწავლა. ამ მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი დაუკავშირდა მოპასუხეს.

1.2. მოპასუხის პოზიცია

განმცხადებლის წარმომადგენელი მიუთითებს ლ. ს.-ის მხოლოდ ტელეფონის ნომერს. 2020 წლის 22 სექტემბერს სახალხო დამცველის წარმომადგენელი შესაბამის ნომერზე დაუკავშირდა ლ. ს.-ს და განცხადების შესახებ შეატყობინა. წარმომადგენლის შეთავაზების მიხედვით, მას გაეგზავნებოდა შესაბამისი განცხადება და თანდართულ მასალა, რათა მას მაქსიმალურად შეძლებოდა საქმეში ჩართვა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. მოპასუხემ უარი თქვა ყოველგვარ თანამშრომლობაზე. მან მიუთითა, რომ იგი პოლიციის სამმართველოში უკვე გამოკითხეს და არ აპირებდა სხვა კითხვებზე პასუხის გაცემას. მას განემარტა, რომ სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში საქმის შესწავლა მის მიერ აღნიშნული გამოკითხვისგან განსხვავებული პროცესია, თუმცა ლ. ს.-მ მაინც უარი განაცხადა კომუნიკაციაზე.

ლ. ს.-ის გამოკითხვის ადგილის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ აღმოჩნდა განმცხადებელსაც. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მ. კ.-სა და ლ. ს.-სთან დაკავშირებულ საქმეზე ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია ეთხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

II. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

თანასწორობის უფლების რეალიზება არსებითია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის. თანასწორობის ძირითადი უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა

ნიშნის მიხედვით“.¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანასწორობის ნორმა-პრინციპის რეალიზება არის სახელმწიფოს, როგორც საფუძველი, ასევე მიზანი; „თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის“.² საქართველოს კონსტიტუციური ვალდებულებების მიღმა თანასწორობის უზრუნველყოფა ასევე საერთაშორისო ვალდებულებებს შორისაა.³

საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვის თვალსაზრისით (როგორც უფლების შინაარსის დეტალიზების მასშტაბით, ასევე უფლების დაცვის საშუალებებით) არსებითია საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. აღნიშნული კანონის საფუძველზე აკრძალულია ყველა კატეგორიის დისკრიმინაცია. კანონის მიხედვით, „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ... არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.“⁴

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია. იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი (1995)

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1

³ ზოგადი თვალსაზრისით, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 26-ე მუხლი (1966). საქართველოს ასევე რატიფიცირებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კონკრეტული ჯგუფების მიმართ ან/და განსაკუთრებულ სფეროებში თანასწორობის მიღწევის აუცილებლობაზე.

⁴ საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი (2014)

არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.⁵

ამგვარად, მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად არღვევს ლ. ს.-ის ქმედებები თანასწორობის უფლებას მ. კ.-სთან მიმართებით. ამ საკითხის დადგენის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველი იმსჯელებს რამდენად შეეშალა ხელი მ. კ.-ს, რომ ესარგებლა თავისი უფლებებით; რამდენად შეიძლება შეფასდეს ლ. ს.-ის ქმედება განსხვავებულ მოპყრობად; თუკი დადგინდება განსხვავებული მოპყრობისა და უფლებით სარგებლობაში ხელშეშლის ფაქტი, რამდენად იყო განმცხადებლის ეს მოქმედება თანაზომიერი.

2.2. კანონით გათვალისწინებული უფლება რომლით სარგებლობისას ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას

2.2.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსი

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მიზნით, არსებითია, იმ ძირითადი უფლების დადგენა, რომლით სარგებლობაშიც ხელი შეეშალა მ. კ.-ს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ხაზი გაესვას, რომ მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა კერძო სამართლებრივი ხასიათისაა: როგორ აღინიშნა, უძრავი ქონების აგენტმა მ. კ.-ს მომსახურების გაწევაზე უარი განუცხადა, ხოლო მისი კომუნიკაციის ფორმა განმცხადებლისთვის ცხადს ხდიდა ამის მიზეზს.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე“.⁷ „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, თავისი არსით, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების ფუნდამენტურ გარანტიას, რომელიც იცავს ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების საკუთარივე შეხედულებისამებრ წარმართვის თავისუფლებას“.⁸ პიროვნების თავისუფალი განვითარების

⁵ *Eweida and others v. United Kingdom*, App. nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, paras. 87-88 (ECtHR); *Burden v. United Kingdom*, App. nos. 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, para. 60 (ECtHR)

⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მე-12 მუხლი (1995)

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-54

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2

უფლებით „დაცულია პირის უფლება, აკონტროლოს საკუთარი თავის წარმოჩენა საზოგადოების თვალში და პიროვნული განვითარებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელების თავისუფლება. პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას...“.⁹ ასევე ამ უფლებით „დაცულია პირის ნებისა და ქმედების თავისუფლება როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში“.¹⁰

არსებითია, რომ სახელმწიფომ ერთი მხრივ, შექმნას თავისუფალი სივრცე პიროვნების განვითარებისთვის და უზრუნველყოს ამ უფლების ეფექტური რეალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, იზრუნოს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაზე.¹¹ როგორც აღინიშნა, პიროვნული განვითარების შეფასება ემყარება თავისუფლების და ინდივიდუალიზმის იდეებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კი ეს არის ადამიანის განვითარების საწყისი და ეს კონცეფცია არ გულისხმობს კანონის მიერ საზოგადოებაში დამკვიდრებული ხედვების სრულად გათვალისწინებას.¹² მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას დადგენილი აქვს შესაბამისი ნორმატიული ჩარჩო, რომელიც აღიარებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას და ადგენს თანასწორობის პრინციპს. საწინააღმდეგო ქცევას კი შესაბამის სამართლებრივ შედეგთან აკავშირებს.

თავის მხრივ სახელმწიფოს მიერ მხოლოდ საკანონმდებლო ძალისხმევა უფლების რეალიზებულად შეფასებისთვის საკმარისი არ არის. აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, რომელიც მიუთითებს ზომებზე, რაც სახელმწიფომ უნდა გაატაროს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლით დისკრიმინაციასთან საბრძოლველად: ქვეყნებმა უნდა იზრუნონ, რომ საკანონმდებლო და სხვა ზომები, ეფექტურად დაინერგოს, რათა გამოირიცხოს დისკრიმინაცია და უზრუნველყოფილი იყოს ლგბტ+ პირთა უფლებები და მათ მიმართ ტოლერანტული გარემო.¹³

გენდერული იდენტობა მკვეთრად სუბიექტური ელემენტებისგან შედგება. გამოხატულება კი არის გენდერის პერსონალური გამოცდილებისა და ემოციის ასახვა. საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და ამ კუთხით ობიექტურად მისაწვდომი რესურსებით სარგებლობა არსებითია

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-9

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30

¹³ Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, 31 March 2010

პიროვნების თავისუფალი განვითარებისთვის. რამდენადაც იგი ამ შემთხვევაში მ. კ.-ს აძლევს უფლებას, რომ საკუთარი არჩევნის შესაბამისად, და სურვილების გათვალისწინებით საზოგადოებაში ეძიოს მისი ადგილი, როგორც სოციალური, ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე მატერიალური სივრცის კუთხით. საჯაროდ ხელმისაწვდომი შემოთავაზების ფარგლებში მ. კ.-ს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, რომ მისი თავისუფალი ნების რეალიზება მოეხდინა, ჰქონოდა შესაბამის უძრავ ქონებაზე წვდომა. უძრავი ქონების აგენტის უარის შედეგად, მას შეეზღუდა თავისი უფლებით სარგებლობა.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან ერთად ასევე აღსანიშნავია ის უფლებები, რომლებიც პირდაპირ არ არის საქართველოს კონსტიტუციაში მოხსენიებული, თუმცა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს შორისაა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია უფლება სათანადო საცხოვრებელზე. ეს უფლება არსებითადაა დაკავშირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან. სათანადო საცხოვრებელი შესაბამისი პირისთვის ქმნის საიმედო სოციალურ სივრცეს და არის მისი ემოციური და ფიზიკური ხელშეუხებლობის საფუძველი.

შესაბამისად, მ. კ.-ის მიმართ განხორციელებული ქმედება (ცალსახა უარი ბინის ქირავნობაზე) მისთვის არსებითად ზრდის სოციალურ, ეკონომიკურ და ემოციურ წნეხს. შესაბამისად, ცხადია, რომ მან ვერ ისარგებლა მისთვის კანონმდებლობით გარანტირებული ძირითადი უფლებებით.

2.2.2. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის კონტექსტი

არსებითია, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები დაცული იყოს საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში. თუმცა მეორე მხრივ ისიც ცხადია, რომ ყველა ტიპის ურთიერთობაში სახელმწიფო არ არის წარმოდგენილი, თუკი არ ჩავთვლით ნორმატიულ მოწესრიგებას. ამ თვალსაზრისით საქართველოში უფლებები აღიარებულია და უფლების დაცვის საშუალებებიც დადგენილია.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი თავის მხრივ შესაძლებელია გარკვეულ ჯგუფში აჩენდეს ხედვას მხარეების უპირობო ავტონომიურობის შესახებ, თუმცა ადამიანის უფლებებისა სამართალი და შესაბამისი სტანდარტები კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისთვისაც ადგენს სათანადო ჩარჩოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუმჯობესებელია უფლების გამოყენება იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ამ ნორმის არსებობა არის „კეთილსინდისიერების პრინციპის“ გამოხატულება. ეს გულისხმობს, რომ ამ ტიპის ურთიერთობების მონაწილეები თავიან უფლებებსა და ვალდებულებებს არ იყენებენ ბოროტად, კეთილსინდისიერი მოქმედების ვალდებულება მათ გარკვეულ ჩარჩოებში აქცევთ.¹⁴ კეთილსინდისიერების პრინციპი ვლინდება ურთიერთობის მონაწილე „სუბიექტის

¹⁴ სოფიო ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 24.12.2017, 115-ე მუხლი, ველი 1

მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებაში იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.¹⁵

საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის დაწესებულების, მიერ გაკეთებული განმარტების მიხედვით, სამოქალაქო სამართლის ერთი სუბიექტის მიერ უფლების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს მეორე სუბიექტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.¹⁶ მეორე მხარისთვის ზიანს შეიძლება ჰქონდეს ქონებრივი ხასიათი, ასევე მიემართებოდეს ნებისმიერი არამატერიალური სიკეთეს, უფლებისა და ინტერესის ხელყოფასაც.¹⁷

უფლების ბოროტად გამოყენება და მხარისთვის ზიანის მიყენების საშუალება შესაძლებელია იყოს, როგორც მოქმედება, ასევე უმოქმედობა.¹⁸ აღსანიშნავი საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, უფლების ბოროტად გამოყენებასთან გვექნება საქმე, თუკი პირის უარი თანხმობის გაცემაზე არ გამომდინარეობდა უფლების განხორციელების აუცილებლობით ნაკარნახევი ინტერესის დაცვიდან.¹⁹

ამგვარად, ზოგადი თვალსაზრისით, ლ. ს.-ს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, თავისი ნება და ავტონომიურობის ფარგლები უნდა დაუქვემდებარებინა სხვებისთვის ზიანის არ მიყენების მიზანს. ეს მიზანი მ. კ.-სთან კომუნიკაციის ეტაპზე მოითხოვდა, საჯაროდ ხელმისაწვდომი უძრავი ქონების შეთავაზების ვალდებულებას ან ამაზე უარის თქმას თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში.

სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული. კოდექსის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება.²⁰ შესაბამისად, გასაქირავებელ ბინაზე მოპასუხის მონაცემების განთავსება წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე. ხოლო მ. კ.-ის მიერ მოპასუხესთან ტელეფონის მეშვეობით დაკავშირება და სურვილის გამოთქმა, რომ იქირაოს

¹⁵ დავით კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 83 (2009)

¹⁶ საქართველოს სახალხო დამცველმა ფიზიკური პირის წინააღმდეგ დისკრიმინაცია დაადგინა, 7 <<http://www.ombudsman.ge/geo/191127024203seksualuri-orientatsia-genderuli-identoba/saqartvelos-saxalxo-damcvelma-fizikuri-piris-winaagmdeg-diskriminacia-daadgina>>

¹⁷ სოფიო ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccg.ge, 24.12.2017, 115-ე მუხლი, ველი 3

¹⁸ სოფიო ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccg.ge, 24.12.2017, 115-ე მუხლი, ველი 3

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის №ას-1535-1438-2012 განჩინება

²⁰ საქართველოს სახალხო დამცველმა ფიზიკური პირის წინააღმდეგ დისკრიმინაცია დაადგინა, 7 <<http://www.ombudsman.ge/geo/191127024203seksualuri-orientatsia-genderuli-identoba/saqartvelos-saxalxo-damcvelma-fizikuri-piris-winaagmdeg-diskriminacia-daadgina>>

ბინა არის ოფერტი. თუმცა, მოპასუხემ არ განახორციელა კოდექსის 331-ე მუხლით გათვალისწინებული აქცეპტი, რის შედეგადაც ხელშეკრულება დადებულიად არ ჩაითვლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლში გაწერილია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი - ხელშეკრულების დადების თავისუფლება. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ამ მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართალში მოქმედებს კონტრაქტის არჩევის თავისუფლება. გამონაკლის წარმოადგენს დომინირებულ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტები, რომელთაც ევალებათ ხელშეკრულების დადება. შესაბამისად, მოპასუხის ვალდებულება გაეკეთებინა აქცეპტი პირდაპირ არ გამომდინარეობს ამ დანაწესიდან. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, იგი შეიძლება იმპერატიული ნორმების საფუძველზე შეიზღუდოს. ეს შეზღუდვები შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების სხვადასხვა ელემენტებს.²¹ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში. შესაბამისად, კანონმდებელმა ანტიდისკრიმინაციულ კანონში გაითვალისწინა საგამონაკლისო შემთხვევა, რომელიც იმპერატიულად კრძალავს ყველა სფეროში დისკრიმინაციას, მათ შორის, წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში.“²²

„ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად, იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ ბინის გაქირავება წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას.

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №3კ-681-03 21

²² საქართველოს სახალხო დამცველმა ფიზიკური პირის წინააღმდეგ დისკრიმინაცია დაადგინა, 7-8 <<http://www.ombudsman.ge/geo/191127024203seksualuri-orientatsia-genderuli-identoba/saqartvelos-saxalxo-damcvelma-fizikuri-piris-winaagmdeg-diskriminacia-daadgina>>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მ. კ.-ს, ვინაიდან ის ქირაობდა ფართს საცხოვრებელი მიზნებისათვის, ჰქონდა უფლება დაედო ხელშეკრულება, მოპასუხის მიერ გამოთქმული უარით კი მას ხელი შეეშალა დასახელებული უფლებით სარგებლობაში.²³

2.3. განსხვავებული მოპყრობა

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის სავარაუდო საქმის შემთხვევაში, როდესაც საკითხი დაკავშირებულია არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებულ მოპყრობასთან პირველ რიგში დგინდება განსხვავებული მოპყრობის ფაქტი.²⁴ ამასთან, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.²⁵ სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელია, განსხვავებული მოპყრობა ხდებოდეს რომელიმე მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლის ან სტატუსის გამო.²⁶

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ მოპასუხეს განმცხადებლის მიმართ აქვს აგრესიული დამოკიდებულება, რაც ეფუძნება მ. კ.-ის გენდერულ იდენტობას. მოცემულ საქმეში მოპასუხემ უარი განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობაზე, თუმცა წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, გენდერული იდენტობის ნიშანი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი დაუკავშირდა ასევე მოპასუხეს, რომელთან კომუნიკაციაშიც ცხადი გახდა, რომ გენდერული იდენტობა ნამდვილად არის ის ფაქტორი, რაც მოპასუხის გაღიზიანებას იწვევს. მისი ამგვარი დამოკიდებულება და დამდგარი შედეგი პირდაპირპროპორციულ კავშირშია, რამდენადაც მოპასუხეს არ ჰქონდა პასუხი იმაზე, თუ რა იყო უარის მიზეზი, მაშინ როდესაც გასაქირავებელი ბინები იძებნებოდა ვებ გვერდის საშუალებით.

ამ კონკრეტულ საქმეში გენდერული იდენტობის გამო მოპასუხის დამოკიდებულება მ. კ.-სთვის სახლის დაქირავებაში გადაულახავი წინაღობა აღმოჩნდა. ამგვარად, სახეზეა მ. კ.-ის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება. შესაბამისად, მოცემულ საქმეში შესადარებელი პირები არიან მ. კ., როგორც ტრანსგენდერი ქალი და სხვა პირები.

შესადარებელი პირების იდენტიფიცირების შემდგომ მნიშვნელოვანია დადგინდეს, რამდენად არიან ეს სუბიექტები არსებითად თანასწორნი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად, არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. მოცემულ შემთხვევაში ლგბტ+ თემის წარმომადგენლებს, ტრანსგენდერ ადამიანებს საზოგადოების სხვა

²³ საქართველოს სახალხო დამცველმა ფიზიკური პირის წინააღმდეგ დისკრიმინაცია დაადგინა, 8 <<http://www.ombudsman.ge/geo/191127024203seksualuri-orientatsia-genderuli-identoba/saqartvelos-saxalxo-damcvelma-fizikuri-piris-winaagmdeg-diskriminacia-daadgina>>

²⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის N1/1/1404 გადაწყვეტილება საქმეზე „ნანა სევაშვილი და ია რევიანიშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-44

²⁵ *D.H. and Others v. the Czech Republic*, App. no. 57325/00, para. 175 (ECtHR, 13 November 2007)

²⁶ *Eweida and others v. United Kingdom*, App. nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, para. 86 (ECtHR)

წევრების მსგავსად აქვთ თანაბარი ინტერესი, რომ ჰქონდეთ საცხოვრებელი და ისარგებლონ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით.

შესაბამისად, დასტურდება მ. კ.-ის მიმართ დიფერენცირებული მოპყრობის ფაქტი. ამდენად, სახალხო დამცველმა უნდა შეაფასოს, თუ რამდენად გამართლებულია დიფერენცირება.

2.4. თანაზომიერების პრინციპი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოემოხა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას არ ჰქონია ადგილი, გადადის მოპასუხე მხარეზე. „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“ ნიშნავს, რომ განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის დაწესებულების, 2018 წლის 13 იანვრის რეკომენდაცია სექსუალური ორიენტაციის და საქმიანობის სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ. აღიშნულ საქმეში განმცხადებელი წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი. რეკომენდაციაში სახალხო დამცველი დაეყრდნო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას, რომლის მიხედვითაც ყველა უფლებას აქვს შეზღუდვის საფუძველი და გამონაკლისი არც თავისუფალი მეწარმეობის უფლებას. სამეწარმეო საქმიანობა მეწარმეთა ავტონომიური ნების საფუძველზე წარიმართება, თუმცა ეს არ გამორიცხავს ამ პროცესში სახელმწიფოს ჩარევას, მაშინ როდესაც არასებობის უფლების არაკეთილსინდისიერად განხორციელების რისკი.²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით, „არ შეიძლება, რომ თავისუფალი ნება გახდეს არაეკვივალენტური, არათანაზომიერი და უსამართლო ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველი, რაც გამოიწვევს ბრუნვის ტრადიციებისაგან მისი მონაწილეების გაუცხოებას და, იმავდროულად, ამით წინააღმდეგობაში მოვა აღიარებულ ზნეობრივ იმპერატივებთან. მოგებაზე ორიენტირებული სუბიექტისაგან, როცა ჯერ კიდევ მყარად არ არის დამკვიდრებული სავაჭრო ტრადიციები, ადვილი შესაძლებელია, მომეტებულად მომდინარეობდეს ასეთი საშიშროება.“²⁸

²⁷ საქართველოს სახალხო დამცველმა ფიზიკური პირის წინააღმდეგ დისკრიმინაცია დაადგინა, 10 <<http://www.ombudsman.ge/geo/191127024203seksualuri-orientatsia-genderuli-identoba/saqartvelos-saxalxo-damcvelma-fizikuri-piris-winaagmdeg-diskriminacia-daadgina>>

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს "რუსენერგოსერვისი", შპს "პატარა კახი", სს "გორგოტა", გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო "ფერმერი" და შპს "ენერჯია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-6

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს.²⁹ საცხოვრებელზე წვდომა ცალსახად დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის ფარგლებში უნდა წარმართოს. დისკრიმინაციის გამორიცხვა ამ სფეროში გულისხმობს თანასწორ მოპყრობას საჯარო და კერძო მესაკუთრეების მხრიდან, ასევე უძრავი ქონების აგენტების მიერ. ევროკავშირის სტანდარტიდან გამომდინარე საცხოვრებლის უფლების რეალიზებისას თანასწორობის უფლების დაცვა მიემართება როგორც წვდომის, ასევე შენარჩუნებისა და დაქირავების კომპონენტებს.³⁰

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს გენდერულ იდენტობაზე - როგორც განსხვავებული მოპყრობის საფუძველზე და ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობის მხრივ საქართველოში არსებულ პრობლემურ გარემოზე. როგორც ადამიანის უფლებათა ევროკავშირმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, სხვადასხვა ანგარიშებიდან სასამართლოსთვის ნათელია, რომ ლგბტ+ საზოგადოება მიიჩნევს, რომ საქართველოში მათი ცხოვრება სახიფათოა. ლგბტ+ თემის წარმომადგენლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება საკმაოდ გავრცელებულია ქართულ საზოგადოებაში.³¹

ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიერ ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობის კუთხით არსებითია აღინიშნოს საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშის მონაცემები. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, 2019 წელსაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.³² ხშირ შემთხვევებში სტიგმაზე დაფუძნებული დამოკიდებულებები მომდინარეობს კერძო პირებისგან, რაც გამოიხატება ლგბტ+ თემის წევრებისთვის ძირითადი უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმაში სხვადასხვა ფორმალური მიზეზის გამო.³³ ამ პროცესებში კი საჯარო ხელისუფლების რეაგირება არასათანადოა.³⁴ თუმცა სახალხო დამცველისთვის ხედვით, დადებითი გარემოებაა ის ფაქტი, რომ 2020 წელს „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმას“ (2018-2020) დაემატა ქვეთავი, რომელიც მიმართულია თანასწორობის პოლიტიკის

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6

³⁰ Fifth Overview of Housing Exclusion in Europe 2020, FEANTSA, 75 (July, 2020); Handbook on European nondiscrimination law, European Agency for Fundamental Rights (FRA) (2018) <https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-2018-handbooknon-discriminationlaw-2018_fr.pdf>

³¹ *Identoba and others v. Georgia*, App. no. 73235/12 (ECtHR, 12 May 2015)

³² საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 178

³³ საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 178-179

³⁴ საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 14

დამკვიდრებისა და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.³⁵ ამგვარად, ცხადია, რომ სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევა ამ ეტაპისთვის არასაკმარისია.

ზოგადი თვალსაზრისით, ლგბტ+ თემის წარმომადგენლების პიროვნების თავისუფალ განვითარებაზე, მათთვის სათანადო საცხოვრებლის ხელმისაწვდომობაზე სახელმწიფო არსებით აქცენტს უნდა აკეთებდეს. ამ კუთხით ისინი განსაკუთრებით მოწყვლადები არიან. ლგბტ+ ადამიანები ბევრ სხვა ჯგუფთან შედარებით განსაკუთრებულად განიცდიან უსახლკარობის არაპროპორციულად მძიმე ეფექტს. ამის მიზეზია დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევები, ტრავმები, საგანმანათლებლო სივრცეებში ბულინგი, დისკრიმინაცია საცხოვრებელ სივრცეებში.³⁶

გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაცია განსაკუთრებით ხილვადია საცხოვრებლის უფლებასთან მიმართებით.³⁷ აღნიშნული საკითხის შესახებ საქართველოში არ არსებობს სრულყოფილი კვლევები, თუმცა საერთაშორისო გამოცდილებების ანალიზი მიუთითებს, რომ აშშ-ში ყოველი ხუთიდან ერთი ტრანსგენდერი ადამიანი მაინც ყოფილა დისკრიმინაციის მსხვერპლი საბინაო სფეროში.³⁸ აღსანიშნავია ევროკავშირის სააგენტო ფუნდამენტური უფლებებისთვის (FRA) კვლევა, რომელიც მიუთითებს, რომ ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა 13 პროცენტი დისკრიმინაციის მსხვერპლი გამხდარა საბინაო სფეროში (ყიდვა ან ქირავნობა).³⁹ ტრანსგენდერ ადამიანებს შორის ეს ციფრი 17 პროცენტია.⁴⁰ სავარაუდოდ, აღნიშნული ციფრი ბევრად მაღალია საქართველოს შემთხვევაში.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრებელზე წვდომა სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით გამოწვევაა საზოგადოებაში. აქვე მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ლგბტ+ თემის წარმომადგენლების საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებიდან გამომდინარე სხვადასხვა ეკონომიკურ რესურსებზე და სამუშაოზე წვდომა გართულებულია. ამგვარად, ზემოთ აღნიშნული გამოწვევების კომბინაცია ლგბტ+

³⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №116 „ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“ მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის №182 დადგენილებაში, ცვლილებების შეტანის თაობაზე“, 2020 წლის 17 თებერვალი

³⁶ Protecting LGBTQI rights in Europe, Submission to the second review of the Council of Europe Recommendation on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity (CM/Rec(2010)5), 106 (2018) <<https://tgeu.org/wp-content/uploads/2018/10/COE-Submission-18-TGEU-IE-OII.pdf>>

³⁷ A Paired-Testing Pilot Study of Housing Discrimination against Same-Sex Couples and Transgender Individuals <<https://www.urban.org/research/publication/paired-testing-pilot-study-housing-discrimination-against-same-sex-couples-and-transgender-individuals>>

³⁸ Housing and Homelessness, National Center for Transgender Equality <<https://transequality.org/issues/housing-homelessness>>

³⁹ EU LGBT survey European Union lesbian, gay, bisexual and transgender survey Results at a glance, FRA, 18 (2013) <https://fra.europa.eu/sites/default/files/eu-lgbt-survey-results-at-a-glance_en.pdf>

⁴⁰ Protecting LGBTQI rights in Europe, Submission to the second review of the Council of Europe Recommendation on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity (CM/Rec(2010)5), 106 (2018) <<https://tgeu.org/wp-content/uploads/2018/10/COE-Submission-18-TGEU-IE-OII.pdf>>

თემის წევრებს საბინაო სფეროში მძაფრი პრობლემის წინაშე აყენებს. ამ ტიპის საზოგადოებრივი განწყობებისა და გარემოებების ფონზე, განსაკუთრებული გამოწვევები დგას, მათ შორის, მ. კ.-ის, როგორც ტრანსგენდერი ქალის, წინაშე.

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მოპასუხემ ვერ წარმოადგინა განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი. ცალსახაა, რომ მოპასუხე მოქმედებმა წინასწარ ჩამოყალიბებული, წინასწარ განსაზღვრული მოსაზრებებით და მისი უარი არ გამომდინარეობდა რაციონალური გარემოებებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე მიუთითებდა გასაქირავებელი ბინების არარსებობაზე, მსგავსი ბინები შესაბამის ვებ გვერდზე იძებნებოდა; ასევე პასუხი, რომ მ. კ. სხვას დაკავშირებოდა მიუთითებს, რომ ლ. ს.მ. კ.-სთან საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე ზოგადად ამბობდა უარს. მოპასუხის ქმედებაში ჩანს მინიმუმ კეთილსინდისიერების სამოქალაქო პრინციპის უგულვებელყოფა, ლ. ს.-მ არ გაითვალისწინა მ. კ.-ის ინტერესები, რაც არ იწვევდა თავად მოპასუხის ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.

მ. კ.-ს აქვს უფლება, რომ საზოგადოებაში მისი სურვილის თანახმად წარმოჩინდეს და პიროვნული განვითარებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი მოქმედებები თავისუფლად განახორციელოს. ეს არ უნდა გახდეს მისი უფლებისა და ინტერესის ხელყოფის საფუძველი. თანასწორობის უფლების დაცვა და მისი რეალიზება ყოველი ადამიანის ვალდებულებაა. ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.⁴¹ თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.⁴²

ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში მ. კ.-ს ჰქონდა იმის უფლება, რომ ესარგებლა უძრავი ქონების აგენტის მომსახურებით, რომელიც საჯაროდ იყო შეთავაზებული. ამ შემთხვევაში ცხადია, რომ მ. კ.-ს ხელი შეეშალა მისი უფლებების განხორციელებაში და აღმოჩნდა სხვა პირებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში მისი გენდერული იდენტობის გამო. მის მიმართ დამდგარი შედეგი არ არის თანაზომიერი და წარმოადგენს დისკრიმინაციას.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ლ. ს.-ს, მომავალში თავი

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1

შეიკავოს გენდერული იდენტობის, ასევე სხვა ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციული მოპყრობისგან და საქმიანობა თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,